ბრძანება:**ბ25. 42241994**

თარიღი:**17/07/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ საკუთრებაში არსებული ერთ ლოტში გაერთიანებული, მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 მაისის N 8/7 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 04 აპრილის №ბ42.422409510 ბრძანების, შპს ,,ზარა კონსალტინგის“ 2024 წლის 31 მაისის N 24/0052 საშემფასებლო დასკვნის შესაბამისად და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 15 ივლისის N 42-422419788 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი1. გამოცხადდეს ერთ ლოტში გაერთიანებული, უპირობო ელექტრონული აუქციონი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ საკუთრებაში არსებული დანართი N 1-ში მითითებული მოძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ საკუთრებაში არსებული, ერთ ლოტში გაერთიანებული, დანართი N 1-ში მითითებული მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 3400,00 (სამი ათას ოთხასი) ლარით, ,,ბე“ განისაზღვროს 1020,00 (ათას ოცი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 34,00 (ოცდათოთხმეტი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2024 წლის 19 ივლისის 15:00 საათიდან, 2024 წლის 2 აგვისტოს 15:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15

(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება აუქციონატორსა და დაწესებულების ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ,,ბე“ სრულად ირიცხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ ანგარიშზე, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ სახაზინო კოდზე 750327499.

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუხლი 11. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ მთავარ ბუღალტერს ლია ჭანტურიას.

მუხლი 13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლადო გუნიავა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი-
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების
ცენტრის დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი